



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



ბრძანება:ბ92. 92230335

თარიღი:02/02/2023

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ახალგაზრდული საბჭოების ინიცირებული პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის N31 დადგენილების „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ახალგაზრდული საბჭოების ინიცირებული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

მუხლი 1. დამტკიცდეს „ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ახალგაზრდული საბჭოების ინიცირებული პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების კომისიის“ დებულება დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს ნინო ბატიაშვილს.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შედის მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

მუხლი 4. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია გაცნობიდან ერთი თვის განმავლობაში გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: გურჯაანი, სანაპიროს ქ.№24.

ჯონდო მდიენიშვილი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



**ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ახალგაზრდული საბჭოების
ინიცირებული პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების კომისიის დებულება**

**მუხლი 1. ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ახალგაზრდული საბჭოების
ინიცირებული პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების კომისია**

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ახალგაზრდული საბჭოების ინიცირებული პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების კომისია (შემდგომში - „კომისია“) ახორციელებს ლაგოდების მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული „ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ახალგაზრდული საბჭოების ინიცირებული პროექტების დაფინანსების/თანადაფინანსების“ (პროგრამული კოდი: 05 04) ქვეპროგრამის ფარგლებში, თანადაფინანსების მოპოვების მიზნით, წარმოდგენილი საპროექტო წინადადებების განხილვას და მათზე სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებების მიღებას.

მუხლი 2. კომისიის საქმიანობის საფუძველი და ძირითადი პრინციპები

1. კომისიის საქმიანობის საფუძველია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 დეკემბრის #31 დადგენილება „ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ახალგაზრდული საბჭოების ინიცირებული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში: „დადგენილება“) და კომისიის ეს დებულება.
2. კომისიის წევრები მოქმედებენ კანონიერების, გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპების დაცვით.
3. კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს კომისიის სხდომებზე.

მუხლი 3. კომისიის საქმიანობის მიზანი

კომისიის საქმიანობა ემსახურება ლაგოდების მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ხელშეწყობას.

მუხლი 4. კომისიის შემადგენლობა

1. კომისია შედგება ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოსა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებისგან.
2. კომისიის ხელმძღვანელი პირები არიან:
 - ა) კომისიის თავმჯდომარე;
 - ბ) კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
 - გ) კომისიის მდივანი
3. კომისიის შემადგენლობას ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანება) ამტკიცებს ლაგოდების მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 5. კომისიის ფუნქციონირების წესი

1. კომისიის სხდომებს იწვევს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა 3/4.
3. კომისიის სხდომაზე დგება შესაბამისი ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. კომისიის გადაწყვეტილება აისახება ოქმში. არსებობის შემთხვევაში კომისიის წევრების განსხვავებული აზრი შეტანილი იქნება ოქმში, რაც გათვალისწინებული იქნება სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილების

მიღებისას.

მუხლი 6. კომისიის წევრის უფლება / მოვალეობა

1. კომისიის წევრი უფლებამოსილია:

- ა) მონაწილეობდეს კომისიის მუშაობაში;
- ბ) ზეპირად ან წერილობით გამოხატოს საკუთარი მოსაზრება;
- გ) ხმის უფლებით მონაწილეობდეს კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- დ) დაუბრკოლებლად მიიღოს ინფორმაცია კომისიის საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში.
- ე) საჭიროებისამებრ, მოითხოვოს განმცხადებლისგან პროექტის გასამყარებლად დამატებითი დოკუმენტაცია, მათ შორის ფინანსური;

2. კომისიის წევრის ვალდებულებაა:

- ა) დაიცვას წინამდებარე დებულება და კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;
- ბ) გაუფრთხილდეს კომისიის ღირსებასა და საქმიან რეპუტაციას;
- გ) არ გაახმაუროს კომისიის წევრობის პერიოდში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია;
- დ) რეგულარულად დაესწროს კომისიის სხდომებს და მიიღოს მონაწილეობა მის საქმიანობაში;

3. კომისიის წევრი გადაწყვეტილების მიღებისას აფიქსირებს დადებით ან უარყოფით პოზიციას, მას გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ აქვს თავის შეკავების უფლება.

4. კომისიის წევრი ანგარიშვალდებულია კომისიის თავმჯდომარის წინაშე.

მუხლი 7. კომისიის თავმჯდომარე, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

1. კომისიის თავმჯდომარე:

- ა) იწვევს და წარმართავს კომისიის სხდომებს;
- ბ) კოორდინაციას უწევს კომისიის საქმიანობას;
- გ) უნაწილებს ფუნქციებს, აძლევს დავალებებს კომისიის წევრებს და ისმენს მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ;

2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის ან მის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის ფუნქციებს ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

მუხლი 8. კომისიის მდივანი

1. კომისიის მდივანი

- ა) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომებს;
- ბ) პასუხისმგებელია კომისიის სხდომის ოქმის სწორად და ზუსტ შედგენაზე, სხდომის მასალების შენახვასა და დაცვაზე;
- გ) კომისიის წევრებს წარუდგენს განსახილველი საკითხების ნუსხას;
- დ) აწარმოებს კომისიის სხდომების საოქმო დოკუმენტაციას;
- ე) კომისიის თავმჯდომარის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

2. კომისიის მდივნის არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქცია-მოვალეობებს, კომისიის თავმჯდომარის დავალებით, ახორციელებს კომისიის ერთ-ერთი წევრი.

მუხლი 9. საპროექტო წინადადებები

1. საპროექტო წინადადებების შერჩევის კრიტერიუმები განსაზღვრულია საკრებულოს დადგენილებით.

2. საპროექტო წინადადებები, რომლებიც არ იქნება მხარდაჭერილი კომისიის მიერ:

- ა) პროექტი, რომელიც ლაგოდების მუნიციპალიტეტის რომელიმე საბიუჯეტო (ქვე)პროგრამის იდენტურია;
- ბ) შეიცავს დისკრიმინაციულ ელემენტებს;

- გ) გულისხმობს პოლიტიკური პარტიების, რელიგიური ან სამხედრო ჯგუფების მხარდაჭერას;
 დ) პროექტის შესრულებით შეუძლებელია მიღებული შედეგების შეფასება.

მუხლი 10. საპროექტო წინადადებების მიღების წესი

1. საპროექტო წინადადებების მიღება ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში.
2. საპროექტო წინადადება შევსებული და წარდგენილი უნდა იქნეს საკრებულოს დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2-ის შესაბამისად.
3. საპროექტო წინადადება, განცხადებასთან ერთად, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ელექტრონული ფორმით, - ელ. ფოსტის - lag_gamgeoba@yahoo.com - მეშვეობით.
4. კომისია უფლებამოსილია საპროექტო განაცხადის დადგენილ ფორმაში, ტექნიკური ხასიათის შეცდომის გასწორების მიზნით, საპროექტო განაცხადის წარმდგენ სუბიექტს განუსაზღვროს ვადა - 5 სამუშაო დღის ოდენობით, მის გამოსასწორებლად.

მუხლი 11. საპროექტო წინადადებების შერჩევის პროცედურები და გადაწყვეტილების მიღება

1. საპროექტო წინადადების შემოსვლის შემდგომ პროექტი ელექტრონული ფორმით გადაეგზავნება კომისიის წევრებს.
2. საპროექტო წინადადებას კომისიის წევრები შეისწავლიან და სათანადო დასკვნას ამზადებენ საპროექტო წინადადების მიღებიდან არაუმეტეს 1 თვის ვადაში.
3. კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ წარმოდგენილ პროექტებს და შეფასებისას ხელმძღვანელობენ საპროექტო წინადადების შეფასების წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით, შემდეგი 10-ქულიანი სისტემით:

| ქულა | შეფასება | განმარტება |
|--------|--------------|--|
| 0 | ცუდი | პროექტი არ პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, ან პროექტის შეფასება ვერ ხერხდება, არასაკმარისი ინფორმაციის გამო. |
| 1 - 2 | სუსტი | პროექტი არაადეკვატურად პასუხობს ამ კონკრეტულ კრიტერიუმს, შეინიშნება სერიოზული არსებითი სუსტი მხარეები. |
| 3 - 4 | საშუალო | პროექტი, ზოგადად, პასუხობს კრიტერიუმს, მაგრამ აქვს მნიშვნელოვანი სუსტი მხარეები, სუსტად დასაბუთებული და არაადეკვატური ფილტვები ხარისხისაა. |
| 5 - 6 | კარგი | პროექტი კარგად პასუხობს კრიტერიუმს, დასაბუთებულია დამაკმაყოფილებელი ხარისხით, მაგრამ აუცილებელია გარკვეული გაუმჯობესება. |
| 7 - 8 | ძალიან კარგი | პროექტი ძალიან კარგად, ზუსტად პასუხობს კრიტერიუმს, იკვეთება ორიგინალურობა და უპირატესობა, მაგრამ შესაძლებელია გარკვეული დახვეწა. |
| 9 - 10 | საუკეთესო | გამორჩეული, მაღალი აქტუალობის მქონე პროექტია, რომელიც წარმატებით პასუხობს ყველა კრიტერიუმს; ნებისმიერი ხარვეზი არის არსებითად უმნიშვნელო. |

4. საპროექტო წინადადებასთან დაკავშირებით კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს პროექტთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია/დაზუსტება.
5. არ დაფინანსდება პროექტები, რომელთა საშუალო ქულა მიიღებს შეფასებას: „ცუდი“ (0 ქულა),

„სუსტი“ (1 – 2 ქულა) ან/და „საშუალო“ (3 – 4 ქულა).

6. კომისია საპროექტო წინადადებაზე დადებით დასკვნას წარუდგენს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, ქვეპროგრამით გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებიდან შესაბამისი პროექტის დასაფინანსებლად.

7. ახალგაზრდული საბჭოს მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია გაიცეს მხარდაჭერის წერილი დონორ ორგანიზაციაში წარდგენის მიზნით.